

შპს ბადაგი
2024 წლის
ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

Error! Bookmark not defined.

მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

4

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

5

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

6-16

შპს „ბადაგი“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართული ლარი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	1,581,184	1,514,664
არამატერიალური აქტივები	9	3,967	3403
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,585,151	1,518,067
მოკლევადიანი აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	10	909,604	960,710
მარაგები	11	1,096,141	986,299
საგადასახადო აქტივები			0
წინასწარ გაწეული ხარჯი			0
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	12	503,956	78,306
სულ მიმდინარე აქტივები		2,509,702	2,025,315
მთლიანი აქტივები		4,094,853	3,543,384
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		30000	30000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	13	3,489,303	2,727,141
გადაფასების რეზერვი		68,397	10,000
სულ კაპიტალი		3,587,700	2,767,141
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		0	
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		0	
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	14	292,927	582,378
საგადასახადო ვალდებულებები		214,225	193,863
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		507,152	776,242
მთლიანი ვალდებულებები		507,152	776,242
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		4,094,853	3,543,384

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 30 სექტემბერს და მისი სახელით ხელიმოაწერეს:

ი. ყაჯხიძე
ინგა ყაჯრიშვილი
დირექტორი



მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
ამონაგები	4	10,344,368	8,985,755
თვითღირებულება	5	-5,471,180	-5,082,534
საერთო მოგება		4,873,188	3,903,222
სხვა შემოსავლები			
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	6	(3,592,408)	-2303921
მიწოდების დანახარჯები	7	(541,026)	-435593
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა			
სხვა ხარჯები			
საოპერაციო მოგება		739,755	1,163,707
ფინანსური შემოსავალი	8	112,700	54,676
ფინანსური ხარჯი	8	(85,040)	-198,812
ფინანსური ხარჯი - წმინდა		27,659	-144,135
მოგება დაბეგვრამდე		767,414	1,019,572
მოგების გადასახადი		(5,253)	152935.77
წმინდა მოგება		762,161	866,636

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 30 სექტემბერს და მისი სახელით ხელი მოაწერეს:

ი. ყაჯრიშვილი

ინგა ყაჯრიშვილი
დირექტორი



**კაპიტალში ცვლილების
ანგარიშგება**

2024 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილე ბელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2021 წლის 1 იანვარი	30 000	1 121 689	1 151 689
საწესდებო კაპიტალი			
წმინდა მოგება		47 752	47 752
გაცემული დივიდენდები		-47 894	-47 894
2021 წლის 31 დეკემბერი	30 000	1 121 547	1 151 547
საწესდებო კაპიტალი			
წმინდა მოგება		747 596	747,596
გაცემული დივიდენდები		-79 053	(79,053)
2022 წლის 31 დეკემბერი	30 000	1 790 090	1,818,257
საწესდებო კაპიტალი	0		0
წმინდა მოგება	0	1,019,572	1,019,572
გაცემული დივიდენდები		(63,158)	(63,158)
გადაფასების რეზერვი			10000
2023 წლის 31 დეკემბერი	30 000	2,727,141	2,767,141
საწესდებო კაპიტალი	0	0	0
წმინდა მოგება	0	762,161	762,161
გაცემული დივიდენდები		0	0
გადაფასების რეზერვი	0		58397
2024 წლის 31 დეკემბერი	30 000	3 489 303	3 587 700

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 30 სექტემბერს და მისი სახელით ხელი მოაწერეს:

ი. ყაჯარაძე

ინგა ყაჯარაძე
დირექტორი



შპს „ბადაგი“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართული ლარი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო

(ა) ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი იყენებენ განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და განიცდიან ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოადგენს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

(ბ) ორგანიზაცია და ოპერაციები

შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია „ბადაგი“ რეგისტრირებული არის “მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის” შესაბამისად, რომლიც დარეგისტრირდა 2011 წლის 16 აგვისტოს.

კომპანიის იურიდიული საქართველო, კახეთი, ქ. წნორი, ნონეშვილის 9, კომპანიის რეგისტრაციის ნომერია: 404907222

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის “ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავება, ხილის და ბოსტნეულის გადამამუშავების და კონსერვირების სხვა სახეები”.

კომპანიის დამფუძნებელთა სტრუქტურა შემდეგნაირია:

დამფუძნებლები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 1 იანვარი
ვახტანგ ყაჯრიშვილი	50%	50%
მიხეილ ბლიაძე	15%	50%
ბესიკი ბლიაძე	10%	
ინგა ყაჯრიშვილი	25%	

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

შპს „ბადაგი“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართული ლარი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი, რადგან, როგორც საქართველოს ეროვნული ვალუტა, ის მეტწილად ასახავს შესაბამისი მოვლენებისა და ვითარებების ეკონომიკურ არსს. ლარი ასევე წარმოადგენს წარსადგენ ვალუტას, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.

4. შემოსავალი

ლარი	2024	2023
შემოსავალი რეალიზაციიდან	10,344,368	8,985,756
შემოსავალი მომსახურებიდან		0
სულ შემოსავალი	10,344,368	8,985,756

5. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

ლარი	2024	2023
პირდაპირი ხელფასი	1,555,853	1,339,329
რეალიზებული (გაყიდული/შეძენილი) საქონელი	3,656,862	3,601,346
შესაფუთი მასალების ხარჯი	210,584	128,897
ვადაგასული ჩამოწერილი საქონელი	47,881	12,961
სულ თვითღირებულება	5,471,180	5,082,534

შპს „ბადაგი“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართული ლარი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

6. საოპერაციო ხარჯები

ლარი	2024	2023
დაზღვევის ხარჯი		
დასუფთავების ხარჯი	14,631	9,017
დაცვის მომსახურების ხარჯი		
კომპიუტერული ხარჯები	4,368	2,694
კომუნალურის ხარჯი	4,503	3,966
კომუნიკაციის ხარჯები	30,506	18,733
კონცენტრატის იჯარის ხარჯი	16,308	15,177
მანქანის იჯარის ხარჯი		
მივლინებების ხარჯები		
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7,770	9,018
საიჯარო ქირა	82,106	68,442
საკანცელარიო ხარჯი	331,409	243,024
სალარო აპარატების მომსახურების ხარჯი	100,292	97,157
სამეურნეო ხარჯი		
საპენსიო შენატანების ხარჯი	58,205	44,019
ტაქსის მომსახურების ხარჯი		
ქველმოქმედების ხარჯი		
ქონების ხარჯი		
შესაფუთი მასალების /პარკის ხარჯი	15,492	14,053
ცვეთა და ამორტიზაცია		
ხელფასის ხარჯი	143,760	121,779
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	2,783,059	1,656,841
	3,592,408	2,303,921

7. მიწოდების დანახარჯები

ლარი	2024	2023
მანქანის ხარჯები	86,974	56,719
რეკლამის ხარჯები	349,875	299,051
საწვავის ხარჯი	104,177	79,823
მიწოდების დანახარჯები	541,026	435,593

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გვერდებზე 7-16.

ლარი	წმინდა საბალანსო ღირებულება 2024 წლის 1 იანვარს	პირითადი საშუალების შემოსვლა	პირითადი საშუალების გასვლა	აფასება	ცვლის ხარჯი	წმინდა საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს
ფინანსური ჯგუფი						
მიწა	5,000	0		0	0	5,000
შენობა	941 206	18391			21 294	938,303
მანქანა-დანადგარები	56,948	93		33633	24288	66,386
ოფისის	19 701	13170	4	7382	8659	31590
აღჭურვილობა						
ავიჯი და სხვა ინვენტარი	174 004	61 842	451	17 382	56 117	196 660
სატრანსპორტი საშუალებები	282 001	74 689	25 969	0	29 489	301 232
იჯარით აღებული ქონების	35,802	16 694			10 484	42 012
კეთილმოწყობა						
სულ პირითადი საშუალებები	1,514,663	184 879	26,424	58,397	150,331	1,581,184
ლარი	წმინდა საბალანსო ღირებულება 2024 წლის 1 იანვარს	პირითადი საშუალების შემოსვლა	პირითადი საშუალების გასვლა	აფასება	ცვლის ხარჯი	წმინდა საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს
ფინანსური ჯგუფი						
ბუღალტრული პროგრამა	3,403	1300			737	3966
სულ არამატერიალური აქტივები	3,403	1300			737	3966

შპს „ბადავი“
ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართული ლარი

შპს „ბადაგი“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართული ლარი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

10. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

ლარი	2024	2023
მოთხოვნები იურული პირებზე საქონლის მიწოდებიდან და მომსახურების გაწევიდან	859,296	924,377
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	600	260
მოთხოვნები ტერმინალით ნავაჭრიდან (თიბისი)	0	9,055
მოთხოვნები ტერმინალით ნავაჭრიდან (ლიბერთი)	0	
მოთხოვნები ტერმინალით ნავაჭრიდან (საქართველო)	0	
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	35,764	12,997
წინასწარ გადახდილი გადასახადები	13,944	13,944
სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	909604	960710

11. მარაგები

ლარი	2024	2023
დაბრუნებული საქონლის საწყობი	20,323	13,107
დაუმთავრებელი წარმოება	338,122	295,788
კოდის გარდაქმნის საწყობი	16	16
მზა პროდუქციის საწყობი	56,685	32,931
ნედლეული და მასალები	309,682	251,219
ნედლეულის დამხმარე საწყობი		
საქონელი	371055	389,857
საწვავის საწყობი	193	3,213
სახარჯი მასალების საწყობი	62	0
სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	0	169
სულ მარაგები	1,096,141	986,299

12. ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ლარი	2024	2023
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკებში	283,003	68,693
ნადღი ფული ეროვნულ ვალუტაში	4,003	9,514
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკებში	216,950	
სულ ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	503,956	78,306

შპს „ბადაგი“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
ქართული ლარი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

13. კაპიტალი

(ა) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტებში და კაპიტალის გაზრდასთან დაკავშირებით მესაკუთრის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით განსაზღვრულ კაპიტალის ნომინალურ ღირებულებას.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი 30 000 ლარია.

(ბ) დივიდენდები

კაპიტალის მფლობელებს უფლება აქვთ მიიღონ პერიოდულად გამოცხადებული დივიდენდები და ზოგად კრებაზე სარგებლობენ პროპორციული ხმის მიცემის უფლებით კომპანიის აქციებში წილობრივი მონაწილეობის შესაბამისად.

(გ) კაპიტალის მართვა

კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, თუმცა ხელმძღვანელობა ცდილობს კომპანიის სტრატეგიული საჭიროებებიდან გამომდინარე კაპიტალის შესაბამისი ბაზის უზრუნველყოფას, რაც მიიღწევა ფულის ეფექტური მართვის და კომპანიის შემოსავლის და მოგების მუდმივი მონიტორინგის საშუალებით.

14. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

ლარი	2024	2023
გადასახდელი ხელფასები		
იჯარიდან წარმოქმნილი		
ვალდებულება	25411	19,479
მატ ფასეულობების მოწოდებიდან წარმოქმნილი		
ვალდებულება	267,516	562900
მიღებული ავანსები		
სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი		
ვალდებულებები	292927	582,378

15. გადასახადები

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს.

2016 წლის 1 იანვრიდან ყველა გადასახადის ანგარიშსწორება ხდება ერთიან სახელმწიფო საბაზინო ანგარიშზე. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საგადასახადო ვალდებულებები ლარს შეადგენს.

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

16. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა

(ა) ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია ფასის განსაზღვრა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვიდან, ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის, ბაზრის მონაწილეებს შორის ოპერაციის ფარგლებში, შეფასების თარიღისთვის. თუმცა, შეფასების სუბიექტურობიდან გამომდინარე, რეალური სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც შესრულებადი აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვა ან ვალდებულების გადაცემა. კომპანიამ განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება შეფასების ტექნიკის გამოყენებით. შეფასების ტექნიკის მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიიღება აქტივების გაყიდვიდან ან გადაიხდება ვალდებულებების გადაცემით შეფასების დღეს ბაზრის მონაწილეთა შორის სტანდარტულ ოპერაციებში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები მიახლოებულია მათ სამართლიან ღირებულებებთან.

(ბ) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტებით გამოყენების მიზეზით, კომპანია დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი (იხილეთ შენიშვნა 13(ბ) (ii));
- ლიკვიდურობის რისკი (იხილეთ შენიშვნა 13(ბ) (iii));
- საბაზრო რისკი (იხილეთ შენიშვნა 13(ბ) (iv)).

(i) რისკების მართვის სტრუქტურა

ხელმძღვანელობას აქვს მთლიანი პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის სტრუქტურის დანერგვასა და ზედამხედველობაზე. მათ მოვალეობაში აგრეთვე შედის კომპანიის რისკების მენეჯმენტის პოლიტიკის შემუშავება და მონიტორინგი და კომპანიის საქმიანობის შედეგების დამფუძნებლისთვის წარდგენა. კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკა შეიქმნა იმისათვის, რომ დადგინდეს და გაანალიზდეს კომპანიის წინაშე მდგარი რისკები, განისაზღვროს რისკის სათანადო ზღვარი და კონტროლის მექანიზმები, ასევე განხორციელდეს რისკების მონიტორინგი და დადგენილი ზღვრის მკაცრი დაცვა. რისკების მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად განიხილება, რათა აისახოს შესაბამისი ცვლილებები საბაზრო პირობებში და კომპანიის საქმიანობაში. კომპანია მრავალმხრივი ტრენინგების, მენეჯერული სტანდარტებისა და პროცედურების დანერგვით, ცდილობს განავითაროს მოწესრიგებული და კონსტრუქციული გარემო, სადაც თანამშრომლებს გაცნობიერებული ექნებათ თავიანთი როლი და ვალდებულებები. დამფუძნებლები ზედამხედველობას უწევენ, თუ რამდენად შეესაბამება ხელმძღვანელობა კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკასა და პროცედურებს და განიხილავენ რისკების მართვის ჩარჩოების ადეკვატურობას იმ რისკებთან მიმართებაში, რომლის წინაშეც დგას კომპანია.

(ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის მფლობელი მეორე მხარე ვერ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. საკრედიტო რისკი გამომდინარეობს კომპანიის ბალანსზე არსებული შემდეგი ნაშთებიდან: კომპანიის მოთხოვნები, შეზღუდული ფულადი ნაშთები და ბანკში არსებული ანგარიშები. მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკის მიმართ სააღრიცხვო თარიღისთვის არის შემდეგი:

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

მოთხოვნები ფულადი სახსრების მომწოდებლებისგან

მოთხოვნების არსებითი ნაწილის გადახდა განხორციელდა სააღრიცხვო თარიღის შემდგომ. შესაბამისად, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანიას არ აქვს არსებითი მგრძნობელობა საკრედიტო რისკის მიმართ აღნიშნულ მოთხოვნებთან დაკავშირებით. კომპანიის პოლიტიკის თანახმად, კომპანია არ ითხოვს უზრუნველყოფას სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში.

ბანკში არსებული ანგარიშები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები განთავსებულია ქართულ ბანკებში, რომლებსაც შეესაბამება საერთაშორისო სააგენტოს Fitch-ის მოკლევადიანი სადეფოლტო რეიტინგი BB-. კომპანიის მოლოდინის თანახმად, მცირეა რისკი რომ გარკვეული კონტრაგენტის მიერ ვერ მოხერხდება კომპანიის მიმართ ვალდებულებების შესრულება.

(iii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც კომპანიას ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდება. კომპანია შეძლებისდაგვარად ცდილობს ლიკვიდურობის მართვის უზრუნველყოფას, რათა ყოველთვის ჰქონდეს ვალდებულებების ვადაში დაფარვის შესაძლებლობა, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ პერიოდში, არასაჭირო დანაკარგების ან კომპანიის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად. ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი ფულის ნაშთის ქონას და დამატებით დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობას. კომპანია უზრუნველყოფს საკმარის და ხელმისაწვდომ ფულად სახსრებს, მოსალოდნელი საოპერაციო ხარჯების, მათ შორის ფინანსური ვალდებულებების მომსახურების ხარჯების, დასაფარავად მომდევნო სამი თვის განმავლობაში. თუმცა არ ითვალისწინებს იმ ექსტრემალური სიტუაციების შესაძლო ზეგავლენებს, რომელთა წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნებისთვის კომპანია იყენებს ხანდაზმულობის ანალიზს. არსებული ხელშეკრულებების საფუძველზე, კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება უნდა დაიფაროს სააღრიცხვო თარიღის შემდგომ ექვსი თვის განმავლობაში.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო გაცვლით კურსების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის შემოსავლებზე ან მის ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე შემოსავლების ოპტიმიზაციის ფონზე.

შპს „ბადაგი“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართული ლარი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

17. დაკავშირებული მხარეები

(ა) ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

წლის განმავლობაში დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული თანხები არის შემდეგი:

	2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
მენეჯმენტის ხელფასი	757,696
დამფუძნებლებზე გაცემული დივიდენდები	0
მოთხოვნები დაკავშირებულ მხარეებზე	600
სულ დაკავშირებულ მხარეებზე გადახდილი ხელფასი და სხვა სარგებელი	757,696

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა და შეფასებები

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ:

(ა) შემოსავალი

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის „ხილის და ბოსტნეულის გადამამუშავების და კონსერვირების სხვა სახეები“. შემოსავლის აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდის მიხედვით, კერძოდ წარმოებული და შეძენილი საქონლის რეალიზაციის საფუძველზე შემოსავლის ფორმირება ხდება გაყიდული/უკან დაბრუნებული პროდუქციის მიხედვით, ყოველი დასრულებული თვის მონაცემებზე დაყრდნობით (საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სკს) გათვალისწინებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით).

(ბ) სხვა ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. თუ ეკონომიკური სარგებლის წარმოქმნა მოსალოდნელია რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

(გ) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შეფასებულია თვითღირებულებასა და ნეტო (წმინდა) სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება მოიცავს: მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების კონვერსიის (წარმოების) დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან, როგორიცაა პირდაპირი შრომა, ნედლეული, მუდმივი და ცვლადი ზედნადები დანახარჯები, რომლებიც გაწეულია ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციად გარდაქმნის პროცესში. გაყიდული (გამოყენებული) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯებად, როდესაც აღიარდება შესაბამისი შემოსავლები. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ღირებულების ხარჯად აღიარებისათვის გამოიყენება FIFO (First In, First Out) მეთოდი.

(დ) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით, თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სხვა სახის დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებასა, დაგროვილ ცვთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

(ე) სხვა არამატერიალური აქტივები

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

კომპანიის მიერ შეძენილი სხვა არამატერიალური აქტივები აისახება დაგროვილ ამორტიზაციასა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით, არამატერიალური აქტივის ამორტიზაცია აღიარდება მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის გამოყენებით.

(ვ) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

(ზ) სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია მნიშვნელოვან მოვლენებს.